

572

1991

ISSN 0132-9406/91  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ



1991 Վ. ՆԱԽԵՐԱՅԱՆԻ-ՄԱՅՐԱՍԵՅԱՆԻ № 9-10

ՀԵՐՏ

# ი. ისანი, სკვრილ შაქნი...



— რატომ? რითვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე? — აი კითხვა, რომლითაც იყვნენ განიერულ ცხოვრებას ყველა ჰუმანიტი, ბრძენი ადამიანი.

ხომ არ დიდგა დრო, ბავშვებო, თქვენი დაუხვით საკუთარ თავს ეს კითხვა?!

ბევრი, და მათ შორის დიდებულ, ხშირად ფიქრობენ, რომ დედამისაზე პირადი სამომავლობითვის, დროსტარებისათვის, კარგი ცხოვრებისათვის არიან განიერი. და იმ აზრებულენ სიცოცხლეს, ერთხელაც არ ჩაეთქრებინან, რატომ მოვედინენ წუთისოველს ადამი-

ანებდა და არა ცხოველებად.

მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც ბავშვობაშივე დაუხვეს ეს კითხვა თავიანთ თავს და პასუხიც ჰუმანიტი გასცეს: «ხამშიბლოს, ხალხის, მღვდლის, ღმერთისა და სიკეთის მისაბურებისათვის». აი, ასეთი პიროვნებები არიან კაცობრიობის სრულყოფის და წინსვლის საძირკველი. ყველა ხალხს ჰგავს ასეთი ღირსეული შვილები. საქართველოსაც, მადლობა განებებს, მრავალი სახელოვანი და თავდადებული მამულიშვილი შეიძლია. მაგრამ მამულიშვილები ითლი საქმე რთვია. ბევრი იტყვის,

1973

«მზარდნი, დიდა მნიშვნელობა ცოდნისა და განათლებისა, იგი მშენაძვე საჭროსა ვნის არსებობისა და წარმატებისათვის, როგორც პეტრი სუნიქისა და სიცოცხლისათვის».

დღეს, როგორც არასდროს, იმე სჭირდება საქართველოს ფიქლებშივე განათლებული, დიდი ცოდნით აღჭურვილი და ერის წყულის მკურნალი მონაგარი.

საკუენების მანძილზე უცხო ძალი ცდილობდა ჩაეკლა განათლებისაკენ, ცოდნისაკენ მისწრაფება, რადგან იყო, რომ ბრძენი და გონიერი ადამიანი უპირველესი მეთომანი და მოწინააღმდეგეა ძალადობისა, სისასტიკისა და უმეცრობისა. ჩვენ ვგვიძლიაფუნენ ენას, ვგანეფუნენ მონობას, უაზრო სიცოცხლეს, ამშობდნენ ყველაფერს ერთხელს, რაიც დიდი წინაპრების ძაღისმგეით გუქონდა შეტყენილი და სისხლში გაჭფდარი. სამწუხაროა ფრთად, მაგრამ საწა-

დღეს ნაწილობრივ მაინც მიადწეეს, დღეს ბევრ ქართველს შეუძვებით, ესაც საკუთარი კეთილდღობის, მუცლის ამოერთვის და ნაცის-დახურვის გარდა არაფერი ანტიტრეფებს. ჩვენს მტერს, — ყველა ქართველს ასე განადგავებდა-გადავაგებდა რომ მოუერებინათ. მადლობა ღმერთს, უდიდესი გაჭირვებისა და სიღუპრების დამსჯელი ვეფადი თავდადებული, გონიერი და უაღრესად განათლებული შვილები; სწორედ 'იშინოთ ითისნობით და ძაღისმგეით მიეგნათ'ება საქართველო თავის უფლებებისაკენ, ერთხელი დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისაკენ.

და იმ თავისუფალი საქართველოს ღირსეული, მზრუნველი შვილები თქვენ უნდა იყოთ. დღევანდელი მზრუნველების შემწეობით უნდა აღზვედნენ ჩვენი მამულები, ავგავდენ და აღორბინდეს დედა-სამშობლო.

თქვენმა დიდმა პატრიოტულმა შე-

ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასია სძალი მოკერაებისათვის.

ილია

სამშობლოსათვის სიცოცხლეს დაუთქრებლად გავწარადო; სიტყვას კი საქმიონ ესაჭიროება დამტკიცება.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყველა თქვენგანს უფერას სამშობლო, რომ ხშირად იტყვობით, ისეთივე სახელოვანნი და ღირსეულნი გახდით, როგორც თქვენ თქვენი დიდი წინაპრები — აღმასწავლებელი და რუსთაველი, თამარ მეფე და ქეთევან დიდოფალი, ცნნა მშა ხერბე-

ულიც და სამხის არაგველი, ილია, აკაკი, ვაჟა, ფიროსმანი, ფილიაშვილი... მაგრამ ამა, კარგად ჩაუვიქრდით, რთეყო, რა გზით, რანაირი მისწარწრავით მაღლწეის თქვენმა წინაპრობებებმა წინსვლიათწინდა და უკვედა სახელს ჰუმანიტი მამულიშვილისა.

ფესვიც და თვითაც მამულიშვილობას სამშობლოს დიდ სიყვარულითა ერთად არის უდიდესი სურფილი და მონღომება მისი საშსახურისა, გამუდმებული სწავლა და ცოდნის შეტენა. უნიჭო ბავშვები ძალიან ცოტაა, ნიჭიერი კი უთავალფიერი არიან, მაგრამ იმითავე მხოლოდ თითო-თორღდა თუ იყენებს სრულად განებებით ნაბობებ ამ დიდ საწუქარს. ნიჭიერებას ერთი დაუბისნეველი და ბოროტი მტერი შეავს — სიზარმაცე.

აბა, ვუღდასმინო წაეკითხეთ რას ურჩევს ბრძენი იაკობ ვოფებამშვილი პატარა ქართველები:

სწავლა-ცოდნა, მუცნიერება — დონვა იმისიანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვურ უღვება: ვურე მუჭტი, ვურე სძალი, ვურე კართა სიმრავლე.

ილია

მართებამ, თქვენმა მამულიშვილებიამ უნდა აღაფრთოვანოს მთელი მსოფლიო და დანახოს ქართველი ადამიანის დუთისინებრება, სიმბძე, სიკეთე და უზრდლობა, მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭიერება.

ამას კი, ჩვენი ბავშვები, საღოცავო ნატგბით და სანათლებო, მხოლოდ სწავლით, შრომით და რწმენით მიადწევი.

ერთხელაც გაიხსენით და ვინებამა ჩაეთკიცეთერთი სულმნათი

იაკობის შეგონება: «ახალი დროის ადამიანს უნდა ჰქონდეს ძლიერი ვინება, დიდი ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა, სახალხო საქმის თათისნობის უნარი, სამშობლოს მგზნებარე სიყვარული, მაღალი გრძობითი, თავის იმედი, თავაზიანობა, სინდისი და პატრის-დნება».

დავგელოცინებთო, აბა, თქვენ იცით! უფალი ღმერთი იფის თქვენი შემწე!

კვივარდეს სწავლა, გულმოდგინება, შრომა და ტანჯვა ნუ გუწარება, თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა სამშობლოს რადმე გამოადგება... ევადე ძლიერ და გქონდეს სძენა, — კარგია, შეიღო, სწავლის შექენა.

გიორგი შალაღიძელი



წამოდექით, ემაწვილებო,  
თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი, —  
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს,  
წიგნს მოჰკიდეთ აბა, ხელი!..

რადიკალ პრინსთაპი



ხატვარი ზაურ დინსაძე

## გაიგებამ რუსლი, გაიგებამ მკლავი!

ბეჟან სვანიძე

ერთი, ორი, სამი!

ერთი, ორი, სამი!

აი, უკვე დადგა ეს ნანატრი წამი.

ბატონ-პატრონი სარ, შენ შენივე თავის,  
აწ და მარად, შენი რეინისებრი მკლავით,  
შენ უნდა დაიცვა შენი სალოცავი —  
შენი საქართველო, როგორც თვალის ჩინი.  
აბა, ფხიხლად, სხარტად, გვეყო თვლემა,  
ძილი!

ერთი, ორი, სამი!

ერთი, ორი, სამი!

გვარდიაში წასვლის მალე დაჰკრავს ჟამი.  
გვარდიელი მშობელი მიწის დამცველია,  
არ აკარებს მამულს ავ ქარსა და ნიავს.  
აბა უშავს, ცოტა შეიწუხე თავი,  
შექნივე სტომას, ჯირითს დღით თუ ღამით,  
სიცივეს თუ სიცხეს, სუფთაველგვარ ამინდს,  
გაიმავრე მუნღი, გაიმავრე მკლავი.

მალე, მალე გიხმობს შენც მხედრული ჟამი:

ერთი, ორი, სამი!

ერთი, ორი, სამი!

ასეულო! სწორდი! წინ, ნაბიჯით იარ!

მკერდით დაიცავი შენი მამულია!

ერთი, ორი, სამი!

ერთი, ორი, სამი!

აი, უკვე დადგა ის ნანატრი წამი,

შენ უნდა დაიცვა შენი სალოცავი —

შენი საქართველო, როგორც თვალის ჩინი.  
ფხიხლად, მედვრად, სხარტად, გვეყო  
თვლემა, ძილი!



# პნდილი

ცირა ჰიტიაშვილი

წამოფურინდი ამ დილით,  
ავისრულე წადილი,  
მოვისვიე სასწრაფოდ  
ბუბოს ლურჯი მანდილი.  
ჩავისხედე სარკეში,  
ქალი ვიეპე ნამდვილი —  
ვეთილი და ჭკვიანი,  
გამძრჯე, თავანძიანი,  
ეწო დავანარხარე,  
სახლს გაუდის კრიალი.  
რამოდენა საქმეა!..  
რა ვიცოდი აქამდის —  
დავანურე მურია,  
კრუს-წიწილა, ქათამი.  
ნანა გიგო ოცინის:  
— მანდილს თუ აქვს ძაღლი,  
ანა, შარახვეტია  
ავრე რამ შეცვალაო?  
ცეცხლი, ცეცხლი ეოფილა,  
ნანა ენაცვალაო.  
დავაცადოთ, რას იხამს,  
დღეს არა და სვალაო.  
უნანოთ!



სწავლა წეარო არს ცხოვრების,  
სიბრძნე — მისი ნაკადული  
და ნუოფი მათი ერთად —  
შეგება, ლხენა, სისარული.  
და შენც, ერმაო, თუ გსურს განდე  
შენი ქვეყნის ძე ერთგული,  
შესვი წეარო ეროვნების!..  
გწამდეს მისი ნაკადული!..  
აკაკი



# მოთხრობები ბიბლიური ისტორიიდან

ია მელიქიძე

## მსოფლიო ნარკუნა

კენისა და სეთის შთამომავალნი თავიდან ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მერე კი შეერივნენ ერთმანეთს. სეთის შთამომავლებშიც გავრცელდა ბოროტება, ურწმუნოება. აღარავის ახსოვდა დამბადებული ღმერთი, გაქრა სიყვარული, ცოდვამ ღრმად გაიდგა ფეხვები. ადამიანები გაირყვნენ და ნადირთა ბრბოს დაემსგავსნენ.

მთელ მაშინდელ კაცობრიობაში ერთადერთი ღვთისმოსავი კაცი იყო დარჩენილი — მართალი ნოე, სეთის შთამომავალი. მას სამი ვაჟი ჰყავდა: ხემი, ქამი და იაფეთი. ღმერთმა რამდენჯერმე გააფრთხილა ადამიანები ნოეს პირით: მოინანიეთ ცოდვები, მოიქეცით ჩემკენ, თორემ ერთიანად გაგულებათო. გამოსწორებისათვის მათ უფალმა 120 წლის ვადა მისცა. მაგრამ ადამიანებმა არ შეისმინეს ღვთის შეგონება და კიდევ უფრო გაირყვნენ.

მაშინ კი განრისხდა ღმერთი და გადა-



წყვიტა წარღვნის წყლებით განებანა დედამიწა ცოდვისაგან, მხოლოდ მართალი ნოე და მისი სახლობა გადაერჩინა, რათა მათგან ხელახლა გამრავლებულიყვნენ ადამიანები.

ღმერთმა გამოუცხადა ნოეს, რომ წარღვნა მოხდებოდა, და უბრძანა: გააკეთე კილობანი, შედი შიგ შენს ოჯახთან ერთად. შეიყვანე ცხოველები: შვიდი წყვილი წმინდა (ე. ი. რომელთა მსხვერპლად შეწირვაც შეიძლება) და თითო წყვილი უწმინდური, და ერთი წლის სარჩო მოიმარაგეო.

ნოემ ყველაფერი ღვთის ბრძანებისამებრ გააკეთა. როგორც კი შევიდა კილობანში, დაიწყო საშინელი წვიმა. ორმოც დღე-ღამე გადაუდებლად წვიმდა, წყალმა დაფარა მთელი დედამიწა. ეს საშინელი წყალიდრობა 150 დღეს გაგრძელდა. მოისპო ყველაფერი. გადარჩნენ მხოლოდ კილობანში მყოფნი.

მსოფლიო წარღვნა საშინელი სასჯელიც იყო და ღვთის წყალობაც: მან ბევრი დააფიქრა თავის ცხოვრებაზე, ბევრმა შეინანა ცოდვები და სული გადაარჩინა. ისე კი ყველა დაიღუპებოდა.

150 დღის შემდეგ წყალმა იკლო, ერთი წელი რომ გავიდა, იგი უკვე თავის კალაპოტში ჩადგა. მიწა გაშრა. ნოე გამოვიდა



მხატვარი ელზარდ აგოკაძე

კიდობნიდან და ღმერთს სამადლობელი მსხვერპლი შესწირა. ღმერთმა მიიღო შესაწირავი, აკურთხა ნოეს ოჯახი და დაჰპირდა მას, რომ ამის შემდეგ წარღვნას აღარ მოავლენდა დედამიწაზე. ამ აღთქმის სისწორის ნიშნად კი ცაზე შვიდფერი ციხარტყელა გამოისახა.

## ნოეს ცხოვრება ნარკუნის უბანზე


ნოე მიწის დამუშავებას შეუდგა. მოიწია უურძენი და ღვინო დააყენა. მან არ იცოდა, რომ ღვინო ათრობს. ერთ დღეს ნოემ უზომოდ ბევრი ღვინო დალია, დაწვა და შიშველმა დაიძინა. მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა, ეს რომ დაინახა, ძმებს დაუძახა და მამა მასხრად აიგდო. სემმა და იაფეთმა გაკიცხეს იგი, შვიდდენ კარავში და მამის სიშიშველე ტანსაცმლით დაფარეს ისე, რომ მისთვის არც კი შეუხედავთ.

ნოემ რომ შეიტყო, რაც მოხდა, დაწყევლა ჯამი და უწინასწარმეტყველა, — შენი შთამომავლები სემისა და იაფეთის შთამომავალთა მონები იქნებიანო. სემი და იაფეთი კი დალოცა, და იწინასწარმეტყველა, რომ სემის მოდგმაში გაჩნდებოდა კაცობრიობის მსხნელი, იაფეთის შთამომავლობა კი ძალიან გამრავლდებოდა.

ნოემ 950 წელი იცოცხლა. მას შემდეგ ადამიანები 400 წელიწადზე მეტს ვეღარ ცოცხლობდნენ, მაგრამ მაინც სწრაფად მრავლდებოდნენ.

## ბაბილონის გოდოლი

ნოეს შთამომავალნი თავდაპირველად



ერთად ცხოვრობდნენ, ერთ ერს წარმოადგენდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. შემდგომ, რაკი თავიანთ მიწებზე ვეღარ ეტეოდნენ, იძულებული გახდნენ ერთმანეთს დასცილებოდნენ და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დასახლებულიყვნენ. მანამდე კი გადაწყვიტეს, აეშენებინათ ქალაქი და უზარმაზარი სვეტი, ანუ გოდოლი, რომელიც სიმაღლით ცას ასწვდებოდა. ამით მოინდომეს თავიანთი სახელის უკვდავყოფა. ღმერთს ძალიან სძულს სიამაყე, განდიდებისაკენ სწრაფვა. იმისათვის, რომ ეს ადამიანებიც არ დაღუპულიყვნენ, ღმერთმა მათ ენები აურიცა. ყველამ სხვადასხვა ენაზე დაიწყო ლაპარაკი. ერთმანეთისა აღარ ესმოდათ და, რაღა თქმა უნდა, გოდოლიც ვეღარ ააგეს. დაუმთავრებელ ქალაქს ბაბილონი ეწოდა, რაც აღრევას ნიშნავს.

ადამიანებმა დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიები დაიკავეს და წარმოქმნეს ერები, შეიძინეს ერთმანეთისაგან განსხვავებული ადამ-წესები.

კმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისდაღო: ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა საღაღო?  
დავით გურამიშვილი



# მსუქანი

## ჯო

ბარბელ ჭანტურია

— დემეტო, მადლი ქენი,  
მომპორე ქონი! —

ევედრება უფალს  
ლოტოს კოჭი — ჯონი!

უსებ მადლა ციდან  
ხმა მოესმა ჯონის:

— გაინძერი, ჯონი,  
მოგშორდება ქონი!

ვინც ააგო მცხეთა,  
ფოთი, კაგრა, ონი,

ან ვინც ააშენა  
ავერ, ზესტაფონი,

ვინც სწავლით და გარჯით  
ავარჯიშა გონი,

არ მგონია, იმას  
ჭქონებოდეს ქონი!

ივარჯიშე, ჯონი,  
იმუშავე, ჯონი!

მოგშორდება წამსვე  
ეგ ზედმეტი ქონი!



კაცი მარტო მაშინ არის სერსი, როცა ცოდნა აქვს, როცა  
კეუა ცოდნით გაუღესია, ცოდნის ჩარჩოზე გაუჩარხავს. მაშინ სერსსა-  
ვით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ილია

# ყველაზე კვირფასი ნაყოფი

(ბულბარული ზღაპარი)

ერთ კაცს სამი ვაჟი ჰყავდა. ერთ დღეს უხმო შვილებს და ასე მიმართა:

— მინდა, სამივეს თითო ქისა ოქრო მოგცეთ. შემოიარეთ ცისქვეშეთი, იზოვით ყველაზე ძვირფასი ნაყოფი და მომიტანეთო.

მეორე დღეს ძმები გზას გაუდგნენ. სამი წლის ხეტიალის შემდეგ დაბრუნდნენ ოჯახში და მამის წინაშე წარსდგნენ.

— აბა, რას იტყვი? — ჰკითხა მამამ უფროს ვაჟიშვილს, — რა მოიტანე?

— ყველაზე ძვირფასი ნაყოფი ის არის, რაც ყველაზე ტკბილია, — მიუგო შვილმა. — ყურძენი მოგიტანე, რადგან მთელ დედამიწაზე ამაზე ტკბილი არა არის რა.

— კარგი გიქნია, ჩემო ბიჭო, — უთხრა მამამ. ყურძენი მართლაც კარგი ხილია. — შენ რაღა მოიტანე? — მიუბრუნდა ახლა შუათანას.

— ჩემი აზრით, ყველაზე ძვირფასი ის ნაყოფია, რაც იშვიათია. ამიტომ სამხრეთში გავემგზავრე და ისეთი რამ შევიძინე, რაც აქ არ იშოვება — ქოქოსის კაკალი, ფორთოხალი, ლეღვი და ბანანი. აჰა, მამაჩემო, ყველაფერი აქ არის.

— შენც კარგად მოქცეულხარ, შვილო, ეს მართლაც რომ ძვირფასი ნაყოფია, — თქვა მამამ და უმცროსს მიმართა: — შენა, შენ მგონი ცარიელი ხელით მოსულხარ!

— მართალი ხარ, მამაჩემო, შენი გატანებული ფულით არაფერი მიყიდი. მაგრამ სხვა ნაყოფი შევიძინე. ეს ნაყოფი თვალისთვის უჩინარია, რადგან ჩემს გულსა და ჩემს თავშია შემონახული.

ეს რომ მამამ გაიგონა, ძალიან გაიხ-

თარგმნა **ოთარ ხუციშვილმა**



რა და მხიარულად შესძახა: — ყველაზე ძვირფასი ნაყოფი შენ მოგიტანია, ჩემო ბიჭო, რადგან ცოდნაზე უკეთესი ამ ქვეყნად არაფერია. ვერც ვერავინ წაგართმევს, ვერც ჩუმად მოგპარავს უფიცი კაცი კი სახედარზე უარესია.

მხატვარი **გიორგი ჩანაიძე**

საბავშვო  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა






# გოგონა\* გვიანდა

გოგონა\* გვიანდა  
გოგონა\* გვიანდა



ავტორი - გიგა ლავინია

ლავინია ი.ვ.  
ავტორი

სანდა დახვდა გოგონას გოგონა და-  
ღვინით უაპრივად, მოლადაც ვინღვინად, გო-  
გონავე იყო სავინი.











# მაცვალა მრეველიშვილი

პატარებო! იცით, რომ იმ მწერლებსთვის, ვინც ქართველი ბავშვებისთვის ირჯება და ხხარჯება, არსებობს ერთი უძვიროფასესი ჯილდო — ბავშვების დიდი მესაიდუმლის — შოთ მღვიმელის სახელობის პრემია?

რამდენიმე თვის წინათ ეს ჯილდო მიეკუთვნა მაცვალა მრეველიშვილს.

რომ იცოდეთ, რამდენი სხხარული უჩუქებია ამ პოეტის წიგნებს თქვენს დედ-მამისათვის! ახლა კი ეს წიგნები დიდი ხანია, აღარ დაბეჭდილა. ამიტომ თქვენ ნაკლებად იცნობთ კოსმოსის გმირს — ჭანჭიკელას, მოშიბვლელ კვანწიას, ღორ-მუცელა ბიჭ-ბიჭანჭურს, ყოჩ ავტოს, უთვალავ პაწია ლექსს — სიკეთეზე, ვაჟ-კაცობაზე, გამტანობაზე; ლექსებს ბუნებაზე და ცხოველებზე...

ერთხანს მაცვალა მრეველიშვილი «დილაში» მუშაობდა. მამის დაუმეგობრდნენ ერთმანეთს მისი სხვადასხვა პოემების გმირები — ჭანჭიკა და გოჭანჭური.

ჩვენ გადავწყვიტეთ, «დილის» სკვირიდან ამოვიღოთ ამ მეგობრობის დამა-დასტურებელი ერთი ხალისიანი ლექსი და თქვენც წაგაკითხოთ.

აი ისიც. წაიკითხეთ და მადლობა შეუთვალეთ კეთილ და მხიარულ მაცვალა ბებიას. და კიდევ — ინატრეთ, ანლად დაიბეჭდოს ამ დიდებული პოეტის სათქვენო ნაწარმოებების კრებული, ლამაზად დასურათებული და ჩინებულად გამოცემული. რა კარგი საჩუქარი იქნებოდა ეს წიგნი ქართველი ბავშვებისათვის და მთხუცებული, მიჩუმებული, მაგრამ ძველებურად დიდი, კეთილშობილი და მშვენიერი მაცვალა მრეველიშვილისათვის!



## ჭანჭიკა და ბოჭანჭური

გოჭანჭურო, რას აკეთებ? —  
მაქვს ახალწლის სამზადისი,  
სტუმრებს უნდა დავასვენო  
სუფრა მათი საკადრისი!

შატავარი გიორგი როინიშვილი

# მოსწავლე ბარათი

გთხოვთ, მეწვიოთ, მეგობრებო,  
შინაური, გარეული.  
გოჭუნები სუფრას შლიან,  
მე განსლავართ მზარეული.  
მზად თქვენი მონატრული  
გოჭანჭური.



## ჭანჭიკა და გოჭანჭური



მხატვარი მანანა შორილაძე


მზარეულობს გოჭანჭური,  
გაჭიკნილი შორეკვიითა...  
— მასწინმელო, მასწინმელო,  
რა სტუმრები მოგვივიდა! —  
მამლაინწა ჭანჭანკელო,  
ისვი ვახო ზაწაწინა,  
მერე — ლეკვი ლეკმაგური,  
მერე — ფისო კვარახჭინა.  
ნამცხვრები კი არსად არის...  
სუფრა დახვდათ არეული.  
— შემარცხვინეს გოჭუნებმა! —  
თავში იცემს მზარეული.  
ჭანჭიკამ თქვა: — ჩემი ლურჯა  
კაცმა უნდა დააფასოს,  
ამ წუთშივე გავაჩადებთ  
მექანიკურ სახაზასო. —  
ინფრა-წითელ სხივზე ბრაწავს  
ქადებსა და საჭანჭურებს,  
მოლხენილა დიდ-ზატარა,  
სავსე სუფრას გადაჭურებს.  
— აბა, ტაში, აბა, დოლი!  
გოჭანჭურო, გაინძერი, —  
მზარეულობს ირგვლივ ყველა —  
სტუმარი და მასწინმელი!



# სსნავლოზ პირველ კლასში

ლევან ბაბუხალია

ასე კარგი თუ იყო,  
რა ვიცოდი მაშინ —  
დავაძთავურე ბავი და  
ვსწავლობ ჰირველ კლასში.  
ახალ ლექსის აღქმამი  
მესმარება ძველი...  
თურმე სწავლა სრულებით  
არ ეოფილა მხელი.  
სსნავსსუწით ვწახსულობ,  
ძაქებს მსსწავლებელი,  
კარგი სწავლა ეოფილა  
გულის გამსარბული.



## გიორგის სისარული

თიფარ შიფილაფილი


სკოლისსკენ მიდის ბიჭი,  
მიიმღერის: ჰერი, ჰერი!  
სისარულით მიაცილებს  
კრიალა ცა, მხით ნაფერი.  
თითქოს ეველა ნაცნობია:  
სე, ბუჩქი თუ ქვაფენილი,  
შედის ახალ სსმეაროში  
„ღდაუნას“ ჩაფრენილი.



## სექტემბრის ღილა

ვენარა ბაღაფილი

გავიღვიძე...  
ცსრათუვლა მსხს  
ჯერ მთის იქით სხინავს,  
რა ხანია ვვლოდები  
ამ სსნატრელ დილას.  
აღღრტულღნე ჩიტუნები,  
გზას მილოცავს ვველა,  
გავიღვიძე ჰეწლებმა და  
იწუეს ვვლზე ფრენა.  
სკოლისსკენ მივიჩქარბ,  
შე ლურჯ ცაზე ბრწეინავს,  
სისარულით ვვეკებები  
ამ სექტემბრის დილას.



მსატვარი ბასო სიღაფილი

# მოწყენა

## ვვანი იზაილოვი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძალზე ნაღვლიანი კაცი. ნაღვლიანი იყო და რა ექნა! შემოაწვებოდა სევდა და დარდობდა! მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო, იტყვიან, და მოწყენილმა კაცმაც ვერ გაძლო მარტო. აბა, რა გააძლებინებდა? ადგა და წავიდა, იქნება ვინმე ვნახო ჩემნაირი, ერთად დავსხდეთ, ერთად ვიშავდღეოთ და ვინაღვლოთ.

ხედავს, თმაჩამოშლილი, მტირალი ტირიფი დგას მდინარესთან. აი, მწუხარებაც ამას ჰქვია, ცრემლის მდინარე სდის საწყალს, რამდენი უტირიაო, — გაიფიქრა მოწყენილმა კაცმა და ჰკითხა:

— ტირიფო, ტირიფო, რა გატირებს, ნაღვლობ თუ დარდობო?

— ვნაღვლობ, თუმცა ვდარდობ კიდევაცო, — მიუგო ტირიფმა.

— წამოდი ჩემთან, ერთად მოვიწყინოთ და ვინაღვლოთო, — შესთავაზა გულდამძიმებულმა კაცმა.

დაეთანხმა ტირიფი და გაჰყვა კაცს. მიდიან მინდვრად და რას ხედავენ — აბუზულა ყარყატი, ნისკარტი დაუშვია და დგას ასე, მოწყენილი.

— რა ცხვირი ჩამოგიშვია, ყარყატო, რა მოგივიდა?

— არ მემხიარულება და რა ექნა? — მიუგო სევდიანად ყარყატმა.

— არც ჩვენ გველხინება, წამოდი, ჩვენი ამხანაგი იყავიო, — შესთავაზეს. დაადგნენ გზას.

მიდიან, მიდიან, და რას ხედავენ, — ისე უგემურად შინჟღელავს, ეტყობა, არც წვიმაა ხასიათზე.

— წამო, შე საცოდავო, შენც ჩვენთან წამოდიო, — შესთავაზეს მკმუნვარე მეგობრებმა.

— სულ ერთი არ არის, საით წავაღ? — მოტრიალდა წვიმა და გაჰყვა უკან გულგატეხილთა მწკრივს.

ასე იარეს, იარეს და ყველა სასოწარკვეთილი, ყველა უგუნებო და მწუხარე თავის რიგებს შემოუერთეს ნაღვლიანმა მეგობრებმა. ბევრნი შეგროვდნენ. ერთად რომ მოიყარეს თავი, გაუხარდათ. ბევრნი იყვნენ და თავს მარტო აღარ გრძნობდნენ.

— ერთი უყურეთ, რამდენი ვყოფილ-






ვართ, ახლა ნახეთ, რა ლაზათიანად ვიტირებთ და ვინაღვლებთ ყველანი ერთადღო, — გაიფიქრეს.

ისე გამზიარულდნენ, ისეთი სევდიანი დამაღობანა ითამაშეს, სიცილით აიკლეს იქაურობა. მერე ისეთი ნაღვლიანი სიმღერები შემოსძახეს, კინალამ დაიხოცნენ სიცილით. რა თქმა უნდა, მაშინაც პირქუშნი და დაღვრემილები იყვნენ. მუცლები კი ხელით ეჭირათ სიცილისაგან და მთელი ხმით ერთხმად მღეროდნენ:

ძლივს არ ამოვისუსთქეთ?  
 ხი-ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!  
 რა კარგია მოწუენა,  
 ხი-ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!  
 ნაღვლიანი მოღხენა!..  
 ხი-ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!  
 გვეუვარს უგუნებობა,  
 ხი-ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!  
 ცრემლით ძილი-ღვიძილი,  
 ხი-ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!  
 გული ვვიწუხს სევდისგან,  
 ხი-ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!  
 დავისოცეთ სიცილით!..  
 ხი-ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!

როგორც აღმოჩნდა, არც ისე მოსაწყენი ყოფილა ერთად მოწუენა.



მხატვარი ბენო სიღაშელი

თარგმნა მარი გველესიანმა



სწავლა ბნელის ფარანი  
 სწავლა ცხოვრების ხიღია.  
 იოსებ ღვინთაშვილი



# წვიმის ზღაპარი

გრიგოლ ჯულუნიძე


მხატვარი ვაჟა ქარსული

მიდიოდა გზასუ კაცი  
 სელჯოხით და გუდიოთა,  
 თავს მზის სხივი ესევოდა,  
 შუქურნიტების გუნდი და,  
 ევაზილების ღილოჭრილო  
 ეკებოდა ნოხებდა,  
 ზირჯვრის წერით ჩერდებოდა  
 ღარიბების ქოხებთან.  
 მიდიოდა, დანახა  
 წვიმის წვეთი მტირალი,  
 ირგვლივ წეარო დამშრალიყო,  
 ჩანჩქერები, მდინარე...  
 ჩაიძუსლა, გადაუსვა  
 თავსუ სელი გომნეული,  
 წვეთი შეკრთა, გონს მოეგო,  
 უბადრუკი, ეული.  
 კაცმა გუდას თავი მოხსნა,  
 ამოიღო მათარა,  
 დააპურა წეალი წვეთს და  
 ასე ჰკითხა ზატარას:  
 რატომ ტირი, რა გრიგალმა  
 თავსუ გადაგიარა?  
 დაისსოძე, არ არსებობს  
 მოურნეხი იარა.  
 სუეველაფერს საშეული აქვს,  
 მე ვარ კაცი-იმედი,  
 შემიძლია გავიწიო  
 სამსახური მცირედი.  
 — მე წვიმა ვარ, ღრუბლის შვილი,  
 გაჩენილი სულ მღერით,  
 მაცოცხლებელს მემანოდა  
 ჩემი დედა, — ღრუბელი.  
 როცა დაბლა, მთებს და ველებს

კლავდა ჩემი წუერვილი,  
 ეველას, ეველას ვარწუელებდი  
 ჩემი ნება-სურვილით.  
 შუქურვალ მიწას ვუგრილებდი  
 ჯეჯილებს და სანახებს,  
 ისეუ ფენსუ ვაეუნებდი  
 გვალვით გამშრალ ბალახებს.  
 მერე, მერე ნაკადულად  
 მიუეეებოდი გზაწვრილებს,  
 მერე, როცა ცა სწუეროდა







ჩემი სულის ნაწილებს,  
 მივიწვედი ცისკენ თრთოლვით  
 დედა ღრუბლის მანძილზე,  
 მამა ღრუბლის სმა მანთებდა:  
 — კვლავ სიცოცხლით აღინთე!  
 ივსებოდა ისევ ძალით  
 ჩემი ფთილა ტანი და  
 ჩამოვრბოდი კვლავ მიწაზე,  
 ვარწყულებდი თავიდან.  
 ერთხელ, როცა შევიჯჯრე  
 გული ქვებზე სირბილით,  
 ევაგილნარში ჩავრეკე თავი,  
 დამავიწყდა იმ დილით,  
 რომ დედ-მამა ცაში შელის,

ცაში უნდა დავბრუნდე,  
 ამ დროს ქარის ჯარი მომდგა,  
 წვეთ-წვეთობით გამქურდეს.  
 ჩემი თეთრი, ბროლის ტანი  
 ლუწეს კლდეთა ლოდებთან,  
 მსვეს და მხვრინავს ნაწილ-ნაწილ  
 სანამდე არ მობესრდო.  
 ამ ფოთოლმა მისხნა, როცა  
 ქარი მხვრუნდა მხაკურული...  
 — მართლაც წვეთი მუხის ფოთოლს  
 ჰეკვდა კეკრდზე გაერული. —  
 რა თავსარი დამატებს  
 ულმობელმა განგებამ,  
 მე თუ გავქრი, ჩემი ჯიშინი  
 ჩემთან ერთად გაქრება.  
 იმ სევიდან მითვალთვალებს,  
 ქარი, თავის ამქრებით...  
 წვეთი დავრჩი... რა წვეთი?  
 და ეს წვეთიც გავექრები.  
 შეეცვალა მოხუცს სასე,  
 ჩაფიქრდა და იმ წამსვე  
 თქვა სმამალა: — წვიმის წვეთო,  
 შენ ვინ მოგკლავს მიწაზე!  
 ხედავ, როგორ გადამჭკნარა  
 ნათობარი, ნაბარი,  
 თუ შენ წვიმად არ იქცევი,  
 ვადანებმა მთა-ბარი!  
 კაცმა გუდა ლოდზე დელო,  
 მოსხნა თავი — გუდიდან  
 ამოიღო ნატკრის ჯოხი  
 ნატკრის მწვანე ბუდიდან.  
 მერე წვეთი აიკვანა,  
 დასვა ნატკრის სელჯოხსზე:  
 მე ქარს ენახე, შენ აქ იჯექ,  
 მოთმინებით მელოდე...  
 (დასასრული შემდეგ ნომერში)

# ქართული კვლევა


თეარ გოშაძე

## ამოცანა

თუ მიხვდები, რა ხემ იცის  
სამკუთხედი ნაყოფი —  
საენაწუნო, სახალისო,  
პატარების სამყოფი?

ქართული

გიორგი კულარაძე



პირიზონტალურად: 1. გარეული ცხოველი, ძლიერ უყვარს თაფლი, 2. გარეული ჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა, 3. შავი (ან ჭრელი) მგალობელი ფრინველი, 4. თავქვეშ სადეები, სასთუმალი, 5. ხოლებიანი მტაცებელი ცხოველი, 6. მტაცებელი ფრინველი, ქორს ჰგავს, 7. პაპანაქება სიცხე, 8. ხმელეთის ყველაზე დიდი ცხოველი.

პერტიკალურად: 9. გასართობი მოქმედება, 10. მალაღობი, მაგარმერქიანი ხე, ისხამს ბუდეში მოთავსებულ ნაყოფს, 11. ზღვის ფრინველი, 3. მომცრო მგალობელი ფრინველი, აქვს თეთრად დაწინწკლული, მოშავო-მოყანგისფრო ბუმბული, 12. გარეული ცხოველი, ქორბუდა, 13. ბოლქვიანი ბოსტნეული მცენარე, 14. ცხენის შვილი, 15. შინაური ფრინველი, გამთენებელი ღამისა.

## ფიქვი

გამოდის 1904 წლიდან.  
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გა-  
მომცემლობა „საქმობლო“

მთავარი რედაქტორი  
**რეჰვა ივანიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: მუშარდ ამბო-  
ბაძე, მანანა ანთაძე, ლამარა ბაბუა,  
სოსიო გოგიბერიძე, ვერი ლავიან-  
შვილი, სოლომონ ლეჟურსანაშვილი,  
ლევია შრამი, პელა ლოსაბერიძე,  
მეველა გოგიბერიძე, ჯურხა ნა-  
ლიბაძე, იმნაძის ნალაური (პ/მგ.  
მღვანი), გივი ძმალაძე, გივი გი-  
ანთაძე.

სამხატვრო რედაქტორი  
გიორგი რიშიშვილი

ტექნიკური რედაქტორი  
ანდო წყნაძე

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,  
სტამბის — თბილისი, კოსტავას 14. ტელ:  
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;  
პ/მგ. მღვანის 93-10-32, 93-98-18; სამხ.  
რედაქტორის — 93-98-18; განყოფილე-  
ბების 93-98-19.

გადაცა ასაწუთად 17.07.91 წ. ხელმო-  
წერილია დასაბუჯად 10.09.91 წ. ქა-  
ლედის ზომა 60x90<sup>1/8</sup>, ფის. ნაბ.  
ფურც. 2,5. ტირაჟი 60.000, შეკვთა  
№1432.

ვლავ ნახატი  
მუშარდ ამბოაძის



# ყუჩაძლეა! კაცლეა!

## ჟურნალი «დილა» გაცნობავთ!

მრავალტირაჟიანი საყმაწვილო ჟურნალი «დილა» აცნობებს მკითხველებს, რომ სთავაზობს დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს სარეკლამო მომსახურებას.

ჟურნალის გარეკანის ბოლო გვერდი დაეთმო: კერძო საბავშვო ბაღების, უცხო ენების შემსწავლელი ჯგუფების, მოზარდთა ტანსაცმლისა და სათამაშოების, ატრაქციონების, საბავშვო კვების პროდუქტების, უალკოჰოლო სასმელების, დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლების, კერძო საექიმო თუ პროფილაქტიკური დაწესებულებების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების, და სხვა რეკლამას, რომელიც ჩვენი მომავალი თაობის აღზრდისა და ჯანმრთელობის საქმეს შეუწყობს ხელს.

ჟურნალი «დილა» მზად არის გამოაქვეყნოს: ყმაწვილების დაბადების, სახელობის დღისა და ნათლობის მილოცვები.

სარეკლამო სამსახურისათვის ანგარიშსწორება მოხდება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშით. ჩვენი მისამართია, 380096, კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: 93-41-30; 93-10-32.